კომპოზიცია დაზგურ მხატვრობაში, I ეტაპი

Composition in Easel painting, the first stage

კურსის I ეტაპზე სტუდენტები იმუშავებენ გრაფიკული და ფერწერული კომპოზიციების ესკიზებსა და ეტიუდებზე, შექმნიან მასშტაბური და დასრულებული სახის სურათების სამუშაო ბაზას. კურსის დამთავრების შედეგად სტუდენტს მიღებული ექნება ფუნდამენტური ცოდნა და გავლილი ექნება მნიშვნელოვანი პრაქტიკა დაზგური მხატვრობის ძირითადი ამოცანის – დამოუკიდებელი მხატვრული პროდუქტის, გრაფიკული და ფერწერული სურათის შექმნის გადაწყვეტისთვის. იგი მზად არის II ეტაპზე დასრულებული სახის რთული თემატური დაზგური სურათის შესაქმნელად.

კომპოზიცია დაზგურ მხატვრობაში, II ეტაპი

Composition in easel painting, the II stage

კურსის II ეტაპზე ფერწერული და გრაფიკული კომპოზიციების გართულებული თემატიკა და მასშტაბურობა სტუდენტის მიერ უკვე ათვისებულ არაერთგვაროვან მხატვრულ კომპოზიციურ აზროვნებას და კონკრეტულ ტექნიკურ ჩვევებს ახალ აღმატებულ ხარისხში აიყვანს, I ეტაპზე შემნილი ესკიზების მიხედვით შესრულდება დასრულებული ხასიათის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები.

წიგნის გრაფიკა და ილუსტრაცია, I ეტაპი

The book drawing and illustration, the first stage

სახვითი ხელოვნების მაგისტრატურის სტუდენტებისთვის წიგნის გრაფიკისა და ილუსტრირების შესწავლა მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, როგორც მხატვრობის ამ დარგში პროფესიული და ტექნიკური დახელოვნებისთვის, აგრეთვე ზოგადად მხატვრული ხედვის და კომპოზიციური აზროვნების განვითარებისთვის. ამ სფეროში იკვეთება ვიზუალური ხელოვნება და წიგნი, თავისი უზარმაზარი თემატური და ესთეტიკური დიაპაზონით. ილუსტრირების ამოცანა უამრავ საინტერესო მასალას იძლევა მხატვრისთვის, როგორც ჟანრისა და შინაარსის, ასევე სტილისტიკის თვალსაზრისით.

წიგნის გრაფიკა და ილუსტრირება, II ეტაპი

The book drawing and illustration, the second stage

სახვითი ხელოვნების მაგისტრატურის სტუდენტებისთვის წიგნის გრაფიკის და ილუსტრირების II ეტაპის შესწავლა ადრე ათვისებული მასალის და ჩვევების განვითარების ლოგიკურ გაგრძელებაა. მისი მიზანია მხატვრობის ამ დარგში პროფესიული, ტექნიკური დახელოვნება, აგრეთვე ზოგადად მხატვრული ხედვის და კომპოზიციური აზროვნების განვითარება. დისციპლინის I ეტაპზე წიგნის მხატვრული გაფორმების პრინციპებისა და სქემის შესწავლის შემდგომ, სტუდენტმა უნდა შეძლოს კონკრეტულ თემატიკაზე გააზრებული და ტექნიკურად გამართული კომპოზიციების შექმნა, მათი მოქცევა წიგნის მთლიან მხატვრულ ანსამბლში, ისწავლოს ტექსტთან მუშაობის შემოქმედებითი გაგება, მოცემული შინაარსის ორიგინალური მხატვრული საილუსტრაციო ვერსიის შესქმნელად.

შემოქმედებითი პროექტი, I ეტაპი

Creative project, I stage

კურსის ფარგლებში განსაზღვრულია შემოქმედებით პროექტზე მუშაობა. სწავლების სრული ციკლის თანამდევ და შემაჯამებელ ფაზას წარმოადგენს, სადაც უნდა გამოვლინდეს არა მარტო სტუდენტის მიერ შეძენილი პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება სახვითი ხელოვენბის ამა თუ იმ სფეროში, არამედ ამ გამოცდილების შეჯერებისა და სინთეზირების უნარი - გაცნობიერება.

შემოქმედებითი პროექტი, II ეტაპი

Creative project, II stage

შემოქმედებითი პროექტის მეთოდოლოგიის შესწავლა ხასიათით და ამოცანებით სცილდება სასწავლო კურსის ზოგადად მიღებულ და ჩვეულ ფორმებს, მასში უფრო მეტად ვიდრე საერთოდ სახელოვნებო–პრაქტიკულ კურსებში ასახულია, როგორც ხელოვნების ანალიტიკური მხარე, ისე შემოქმედებით–ინდივიდუალური ხასიათიც. ამ ეტაპზე მაქსიმალურად დაცულია შემოქმედებითი თვისუფლება და ამავე დროს სწავლებისა და მუშაობის თანამიმდევრული რეფლექტური ხასიათი, ამიტომ პროექტის განხორციელების სახელოვნებო სფეროს არჩევა მაგისტრანტის პრეროგატივაა (რა თმა უნდა, იგულისხმება ვიზუალური ხელოვნების დარგები, რომლებთანაც სტუდენტს განვლილი სასწავლო პერიოდში ჰქონდა შეხება).

შემოქმედებითი პროექტი, III ეტაპი

Creative project, III stage

ამ ეტაპზე მიღებული თეორიული ცოდნის ჭრილში მეთოდოლოგიურად მეტად მნიშვნელოვანია შემოქმედებითი პროექტისა და სამაგისტრო ნაშრომის ურთიერთ-დკავშირებულ კომპონენტებად აღქმა. შემოქმედებითი პროექტი თეორიულ–პრაქტიკული სწავლების ისეთ სეგმენტს წარმოადგენს, სადაც მჟღავნდება მთელი სამაგისტრო პროგრამის თვითმყოფადი ხასიათი. მოცემული კურსის სპეციფიკურობა გულისხმობს ორიენტაციას საზოგადოებისთვის საჭირო, მისი სახელოვნებო ინტერესების შესაფერისი, კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებაზე.

კინო-ტელე და ტეატრალური მხატვრობა I ეტაპი

Scenography and cinema design, the I stage

კინო-ტელე და თეატრალური მხატვრობის სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს, რომელსაც უკვე მიღებული აქვს ფუნდამეტური ცოდნა და საკმაოდ მდიდარი სამუშაო-პრაქტიკული გამოცდილება სახვით ხელოვნებაში, შეასწავლოს კინო-ტელე და თეატრალური მხატვრობის სპეციფიკა. სტუდენტი მიიღებს აუცილებელ ცოდნას და ტექნიკურ ჩვევებს გადსაღები ობიექტების და თეტრალური სცენაზე დასადგმელი სპექტაკლის, პერსაონაჟებისა და კოსტუმების სრულყოფილი ესკიზების შესაქმნელად.

კინო-ტელე და თეატრის მხატვრობა, II ეტაპი

Scenography and cinema design, the II stage

კურსის მეორე ეტაპზე სტუდენტი გაეცნობა კინო-ტელე მხატვრობას, შეისწავლის არჩეული თემის მიხედვით დაწერილი სცენარის კადრირებას და კადრის კომპოზიციის მხატვრულად გადაწყვეტის პრინციპებს.

თანამედროვე მოდის დიზაინის Iეტაპი

The first stage of modern dezign of fashion

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტმა შეიძინოს სრულყოფილი ცოდნა, რომელიც მოიცავს თანამედროვე მოდის დიზაინის ფუნდამენტალურ კონცეფციებს. ჩამოუყალიბდეს მხატვრული აზროვნება, მხატვრული პროექტის კონსტრუქციულად დანახვის და განხორციელების უნარი. უზრუნველყოს მხატვრულ ნამუშევარზე ინოვაციური უნარჩვევების ჩამოყალიბება, გააღრმავოს შემოქმედებითი უნარი, აბსტაქტული აზროვნება და ესტეთიკური გემოვნება.

თანამედროვე მოდის დიზაინი II ეტაპი

The second stage of modern design

თანამედროვე მოდის დიზაინის საწავლო კურსის შინაარსის მთავარი ამოცანაა სტუდენტმა პრაქტიკული მუშაობით, საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის ჩართვით უახლესი მოდური ტრენდის გათვალისწინებით, ინდივიდუალურ იდეაზე დაყრდნობით, შეძლოს შემოქმედებითი პროექტის განხორციელება, ტანსაცმლის მხატვრული გაფორმება და მოდელირება გამოყენებითი ხელოვნების ერთ–ერთი სფეროა, სადაც განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება მხატვარ-დიზაინერის შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი.

ესთეტიკისა და ხელოვნების უახლეს მიმდინარეობათა ისტორია, I ეტაპი

The Aesthetics and History of Modern Directions of Art, I stage

კურსის მიზანია, ესთეტიკის, როგორც ფილოსოფიის იმ დარგის გაცნობა, რომელიც ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია ხელოვნებასთან და სწავლობს ადამიანის სამყაროსთან ემოციური მიმართების სპეციფიკას; ესთეტიკური აზრის განვითარების ძირითადი ეტაპებისა და უმნიშვნელოვანესი კატეგორიების გაცნობა; სინთეზურ ხელოვნებათა ესთეტიკის თავისებურების, უახლესი დროის ძირითადი მხატვრული მიმდინარეობების, თანამედროვე კულტურის კონტექსტში ხელოვნების პრობლემების ანალიზისა და მისი როლის შეფასების უნარის გამომუშავება.

ესთეტიკისა და ხელოვნების უახლეს მიმდინარეობათა ისტორია, II ეტაპი

The Aesthetics and History of Modern Directions of Art, II stage

კურსის ამეტაპზე, გარდა ხელოვნების ისტორიის ძირითადი საკითხების თანმიმდევრული გაცნობისა, თანამედროვე ზოგადკულტურულ კონტექსტში, კურსის მიზანს აგრეთვე წარმოადგენს თავად ხელოვნების, მისი ბუნებისა და ცნობიერისეულ-გონითი პარალელების სპეციფიკის ანალიზი. ზემოხსენებულმა უნდა გაარკვიოს სტუდენტი იმ საგნის აქტუალურ პრობლემებში, რომლის ისტორიასაც სწავლობს. პრაქტიკუმის ფარგლებში სტუდენტები მეტ ყურადღებს დაუთმობენ მოწ. მასალის ვიზუალურ ასპექტებს, მის პლასტიკურ პრინციპთა ათვისების მიზნით.

კულტურის ორგანიზება და მართვა

კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა საქმიანი ურთიეთობის შესახებ. საქმიანი ურთიერთობების კულტურის და ფსიქოლოგიის საკითხებს ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა ის მეცნიერებად აქციეს ამ დარგის კლასიკოსებმა სემ ბლეკი, სკოტ კატლიბი, ალენ სენტერმა და სხვ. "საქმიანი ურთიერთობის კულტურა", როგორც სასწავლო დისწიპლინა მოწოდებულია სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად მისცეს ტექსტის შედგენის, შრომის ორგანიზაციის მეთოდების და შეფასებების ტექნიკა.

პოსმოდერნული ესტეტიკა

Postmodern Aesthetics

კურსის მიზანს წარმოადგენს მაგისტრატებს გააცნოს თანამედროვე სამყაროსათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშნის - საყოველთაო ესთეტიზაციის - ძირითადი თავისებურებანი, რომელიც პირველ რიგში ასახვას პოვებს ასთეტიკურის-კლასიკური პარადიგმის ტრანსფორმაციაში . ტრანსესთეტიკურად (მეოცე საუკუნის დასასრულის ესთეტიკური დისკუსიების ერთ-ერთ მთავარ დომინანტს ოცდამეერთე საუკუნის მხატვრულ-ესთეტიკური განვითარების პერსპექტივების მონიშვნა წარმოადგენს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდება პოსტპოსტმოდერნიზმი - რომელიც დღეისათვის ყველაზე დამაჯერებელ პრეტენზიას აცხადებს ტექნოვირტუალისტიკის ტრანსსენტიმენტალიზმის სახით.

რევოლუცია თანამედროვე ხელოვნებაში

Revolucion in the Art

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაეცნობიან თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე ფუნდამენტური ცვლილებებს, რომელიც განპირობებულია, მსოფლმხედველობრივი ცვლილებებით. თანამედროვე სამყაროსთვის მთავარი მომენტია აბსოლუტის ,,ღმერთის სიკვდილი" გაქრობა. რამაც თავის მხრივ გამოიწვია სამყაროს იერარქიული წესრიგის და მთლიანობის დაშლა. ხელოვნების მიზანი აღარ არის ყოფიერების საიდუმლოს აღმოჩენა, არამედ , მიისწრაფვის წმინდა ფორმებისაკენ. მოკლედ ხდება კლასიკური ესთეტიკური პრინციპების არა კლასიკური ინტერპრეტაცია. ამ საკითხებში გარკვევა წარმოადგენს კურსის ძირითად მიზანს. კურსი არსებითად წარმოადგენს სპეცკურსს გერმანელი ფილოსოფოსის ჰანს ზედელმაირის იგივე სახელწოდების ნშრომაზე, რომელიც განხილული იქნება ამავე პერიოდის ფილოსოფოსთა ნააზრევის შედარებითი ანალიზით.

ხელოვნების ფილოსოფია

Philosophy of Art

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ხელოვნების ფილოსოფიას. ეს საშუალებას მისცემს სტუდენტს, ღრმად გაიაზროს ხელოვნების განვითარების საფეხურები. ხელოვნების ფილოსოფია მოითხოვს ხელოვნების სტრუქტურის, ხელოვნების თეორიის ფუნდამენტურ შესწავლას რაც ხელს შეუწყობს ხელოვნების ფილოსოფიურად გააზრების ჩამოყალიბებას და მის გაღრმავებას. ასევე, სტუდენტს მისცეს ცოდნა ესტეტიკურის, მშვენიერების და ხელოვნების არსის, სტრუქტურის, მისი ონტოლოგიური სტატუსის, ხელოვნების გაგებისა და ინტერპრეტაციის და სხვ. შესახებ.

თანამედროვე ფილოსოფიური სკოლები და მიმართულებები

Modern Philosophical Schools and Tendencies

კურსის ფარგლებში განხორციელდება თანამედროვე კონტინენტური და ამერიკული ფილოსოფიური აზრის, როგორც დასაბუთებული ფილოსოფიური დისკურსის ძიების დინამიკა, მისი ძირითადი მიმართულებები და მათი საერთო მახასიათებლები, სამომავლო პერსპექტივის ჭრილშია გახსნილი. Kკურსი გაიშლება თ. ადორნოს მიერ დასმულ კითხვაზე "რაღა საჭიროა ფილოსოფია?" პასუხთა ანალიზის ფონზე. Kკურსის ფარგლებში გამართული დისკუსიები მაგისტრს მისცემს დასაბუთებულ ცოდნას იმის თაობაზე, რომ თანამედროვე საკაცობრიო კულტურა წარმოუდგენელია ნიცშეს, პირსის, ჯემსის, დიუის, რორტის, ჰაიდეგერის, ფრომის, შელერის, სარტრის, ფუკოს, დერიდას გარეშე. Kკურსი იმგვარადაა აგებული, რომ მაგისტრანტს საშუალებას მისცეს გაერკვეს თანამედროვე კულტურის პროცესების არსებით ტენდენციებში.

მხატვრული სიმბოლოს თეორია

Theory of Art Symbol

კურსი მიზნად ისახავს გააცნოს მაგისტრს მხატვრული სიმბოლოს ბუნება, კურსის ფარგლებში განხორციელდება ნიშნისა და მისი სპეციფიკური სახის–სიმბოლოს ცნების გახსნა, ეს უკანასკნელი თავის მხრივ მოითხოვს გარკვეულ კონკრეტიზაციასა და ლოკალიზებას. ამ მიზნით აქცენტი გადატანილი იქნება მხატვრულ სიმბოლოზე, როგორც სიმბოლოს ყველაზე დახვეწილ, „წმინდა" ფორმაზე, გაიმიჯნება მხატვრული სახისა და მხატვრული სიმბოლოს ცნებები; განხილული იქნება მხატვრული სიმბოლოს მახასიათებლები, მისი გაანალიზების სხვადასხვა მცდელობები ანტიკური ფილოსოფიიდან მოყოლებული ვიდრე პოსტმოდერნულ ფილოსოფიამდე. გაიხსნება სიმბოლოს გამოვლენის თავისებურებები მხატვრული შემოქმედების დისკურსში.

მხატვრული ტექსტის ჰერმენევტიკა

კურსის ამოცანაა სტუდენტს შეასწავლოს მხატვრული ტექსტის გაგებისა და განმარტების მეთოდოლოგიური და ფილოსოფიური საფუძვლები. ჰერმენევტიკის ძირითადი კონცეფციები პარადიგმები, მხატვრულ ტექსტში შესვლისა და თანაშემოქმედების ფენომენოლოგია და სტრატეგიები. თითოეული თემის თეორიული შესწავლა პრაქტიკულად გაღრმავება შესაბამის სასემინარო მუშაობაში. კურსი სტუდენტს დაეხმარება მხატვრული ტექსტის გაგებისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.